# თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
# ბიუროს სხდომის

## ო ქ მ ი № 17

„16“ სექტემბერი 2019 წ. ქ. თელავი

**თავმჯდომარეობდა :** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გიგა ორკოდაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი**, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე**, ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი**, ფრაქციის „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი**, ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი**, ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი**, საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი**, ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე **არჩილი თვალიაშვილი**, ფრაქციის „ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარე **ალექსანდრე კუპატაძე**, საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე **ალექსი მულიაშვილი**.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე**;
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი**;

## დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.
2. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მივლინების შესახებ.

<u>1.მოისმინეს:</u> მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ა.შათირიშვილმა, დ.ღაღანიძემ, ა.თვალიაშვილმა

<u>გადაწყვიტეს:</u> 1. მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტები საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილდეს შემდეგი სახით:

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №12 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის №12 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია:

1. ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 101 კვ.მ. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

2. საკრებულოს კომისიებმა საკითხების განხილვა უზრუნველყონ 2019 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით.

<u>2.მოისმინეს:</u> საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მივლინების შესახებ.

გ.ორკოდაშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 3-6 ოქტომბერს დაგეგმილია მისი მივლინება უკრაინის ქალაქ ბალტაში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების მიზნით.

<u>გადაწყვიტეს:</u> საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მიმდინარე წლის 3-6 ოქტომბერს უკრაინის ქალაქ ბალტაში მივლინება მიღებულ იქნეს ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე                                        გიგა ორკოდაშვილი

GEORGIA. TELAVI MUNICIPALITY COUNCIL